საქმე №02022-020004112346
საქმე N2/2099-20წ.

6368923799746

www.ecd.court.ge

განჩინება

საქართველოს სახელით
დროებითი მხარდამჭერად დანიშვნის შესახებ

18 ნოემბერი 2020 წელი

ქ ზუგდიდი

ზუგდიდის რაიონული სასამართლო
მოსამართლე - ფატი ფურცხვანიძე
სხდომის მდივანი - სალომე ქობალია

განმცხადებელი -ელისო კვარაცხელია;

მხარდამჭერის მიმღები - სოსო სონგულია
ადვოკატი - ნათია ქვარცხავა

მესამე პირი - სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ცენტრი

მოთხოვნის არსი - პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობისა და მისთვის მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ

შუამდგომლობის არსი - დროებით მხარდამჭერად დანიშვნა

სასამართლომ ზეპირი მოსმენით გაარჩია ქეთინო კუტალიას შუამდგომლობა სოსო სონგულიას დროებით მხარდამჭერ პირად დანიშვნის შესახებ და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2020 წლის 16 ნოემბერს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მომართა ელისო კვარაცხელიამ და მოითხოვა მისი ოჯახის წევრის, ქმრის სოსო სონგულიას

მხარდაჭერის მიმღებ პირად აღიარება. მანვე იშუამდგომლა საქმის წარმოების დასრულებამდე დაინიშნოს სოსო სონგულიას დროებით მხარდამჭერ პირად.

სოსო სონგულია (პირადი N51001012089) დაბადებული 1965 წლის 20 ნოემბერს, არის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, დიაგნოზით; საშუალო ანდა გამოხატული გონებრივი ჩამორჩენილობა, არსებობს სხვა ქცევითი აშლილობები. ცნობა N566 ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე, გაცემული 2020 წლის 21 ოქტომბერს.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წალენჯიხის რაიონულ განყოფილებაში სოსო სონგულია აღრიცვაზე იმყოფება და ღებულობს სოციალური პაკეტის თანხას, (ცნობა N04–09–03/536 გაცემული 2020 წლის 24 სექტემბერს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წაელენჯიხის რაიონულ განყოფილებაში).

სოსო სონგულიას ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მიუხედავად სრულწოვნების ასაკისა (ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები) დამოუკიდებლად არ შეუძლია განახორციელოს თავისი უფლებები, ნების თავისუფლად გამოვლენის, ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთების უნარი, კერძოდ მიმართოს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს/ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულს რათა ისარგებლოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო გასაცემლის (სოციალური პაკეტის), საარსებო შემწეობის თანხის მიღების უფლებით. შესაბამისად ვერ შეუძლებს მის სახელზე საბანკო დაწესებულებაში გახსნილ ანგარიშზე, დარიცხულო სახელმწიფო გასაცემლის (საპენსიო პაკეტის), თანხის მიღებას და განკარგვას.

ელისო კვარაცხელია თანახმაა დაინიშნოს სოსო სონგულიას მხარდამჭერად. ელისო კვარაცხელია წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, არის ჯანმრთელი და შრომისუნარიანი, არ იმყოფება აღრიცხვაზე ფსიქონევროლოგიურ დისპანსერსა და ნარკოლოგიურ ცენტრში, არ არის ნასამართლევი და არ არის ძებნილი.

განმცხადებელი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363^{15}-363^{21} მუხლების საფუძველზე, ითხოვს სოსო სონგულია ცნობილი იქნეს მხარდაჭერის მიმღებ პირად.

განმცხადებელი შუამდგომლობს, მოცემული საქმის წარმოების დასრულებამდე, დაინიშნოს დროებით სოსო სონგულიას მხარდამჭერად, რათა მიეცეს შესაძლებლობა დროულად მიიღოს კუთვნილი ფულადი თანხა, სამედიცინო მომსახურება და დაიცვას მისი უფლებები;

სასამართლომ განიხილა რა განმცხადებლის შუამდგომლობა, მიაჩნია, რომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს. შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[17].1. მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, საქმის წარმოების დასრულებამდე დანიშნოს დროებითი მხარდამჭერი, თუ მიიჩნევს, რომ იმ პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, შესაძლებელია შეუქცევადი ზიანი მიადგეს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დროებითი მხარდამჭერი შეიძლება იყოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ელისო კვარაცხელია არის მხარდაჭერის მიმღებად საცნობი პირის რძალი. სოსო სონგულია არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელიც მხარდაჭერის გარეშე ვერ განახორციელებს სოციალური პაკეტის მიღებას. ელისო კვარაცხელია აკმაყოფილებს მხარდამჭერად დასანიშნი პირისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1283-ე მუხლით დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებს;

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო 363[15].3. მუხლის თანახმად, პირს მხარდაჭერა შეიძლება დაენიშნოს შრომითი საქმიანობის, წვრილმანი გარიგების დადების, სამეწარმეო საქმიანობის, უძრავი ქონების მართვის/განკარგვის, საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის, მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის, მისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით და სხვა უფლებებისა და მოვალეობების განსახორციელებლად, რომლებსაც სასამართლო ინდივიდუალური შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს. ამ შემთხვევაში ერთმნიშვნელოვანია, რომ განმცხადებლის მოთხოვნის საფუძველზე, საქმის წარმოების დასრულებამდე, სასამართლო უფლებამოსილია დანიშნოს დროებითი მხარდამჭერი, თუ მიიჩნევს, რომ იმ პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება, შესაძლებელია შეუქცევადი ზიანი მიადგეს. მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს პირის ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი ან სპეციალისტი, რომელიც აკმაყოფილებს ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

მხარდამჭერის არჩევისას სასამართლო ითვალისწინებს მის პიროვნულ თვისებებს, მხარდამჭერის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულების უნარს, მხარდამჭერისა და მხარდაჭერის მიმღების ურთიერთდამოკიდებულებას, მხარდაჭერის მიმღების ინტერესებს და ნებას, ხოლო მხარდაჭერის მიმღების არასრულწლოვანების შემთხვევაში – აგრეთვე მისი მშობლის მითითებას. პირი მხარდამჭერად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით.

სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1289-ე მუხლის შესაბამისად, მხარდამჭერი ვალდებულია თვალყური ადევნოს მხარდაჭერის მიმღების მუდმივ სამედიცინო მომსახურებას, დაადგინოს მისი სურვილები/არჩევანი და დაეხმაროს მას შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებაში, რაც გამოიხატება გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ინფორმაციის მხარდაჭერის მიმღებისათვის გასაგები საკომუნიკაციო ფორმით მიწოდებაში.

მხარდამჭერი აგრეთვე ვალდებულია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, რომელიც 6 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, აღნიშნულ ორგანოს მიაწოდოს სასამართლოს გადაწყვეტილებით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების შესახებ ინფორმაცია. ამ ინფორმაციაში მხარდამჭერი მიუთითებს მის მიერ მხარდაჭერის გაწევასთან დაკავშირებულ თავისებურებებს.

სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი რეგულაცია, დროებითი და გადაუდებელი ღონისძიების - დროებითი მხარდამჭერის გამწესების აუცილებლობისა და მიზანშეწონილობის ისეთ სტანდარტს აწესებს, რომელიც სასამართლოს აზრით, განმცხადებლის მტკიცების ტვირთის ნაწილია და ამავე დროს აუცილებელია საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის. შესაბამისი ფაქტებისა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების არსებობის პირობებში, სასამართლო აღჭურვილია უფლებამოსილებით, შეაფასოს ისინი, განსაზღვროს ის გარემოებანი, რომლებმაც შესაძლოა შესაბამისი ნორმით გათვალისწინებული ე.წ. "შეუქცევადი ზიანი" დააყენოს და ამის საფუძველზე მიიღოს ესა თუ ის გადაწყვეტილება.

სასამართლო მიუთითებს, რომ განმცხადებელმა დაასაბუთა ის გარემოებები თუ რატომაა აუცილებელი მხარდაჭერის მიმღებისათვის მოცემულ ეტაპზე დროებითი მხარდამჭერის დანიშვნა. მან ასევე წარმოაჩინა ის შეუქცევადი ზიანი, რომელიც შესაძლებელია მიადგეს პირს, რომლის მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხიც განიხილება. კერძოდ, დადგენილია, რომ მხარდაჭერის მიმღების მიერ ნების გამოხატვის შეუძლებლობის გამო ვერ ხდება სოციალური დახმარების მიღება; მხარდაჭერის მიმღებს სოციალური დახმარების (პენსია, დახმარება და სხვ.) მიუღებლობით, შესაძლებელია მიადგეს შეუქცევადი ზიანი, რის გამოც მას, საქმის წარმოების დასრულებამდე, უნდა დაენიშნოს დროებითი მხარდამჭერი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1305[1]-ე მუხლის შესაბამისად, მხარდამჭერის საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო მხარდაჭერის მიმღების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ზედამხედველობის მიზანია მხარდამჭერის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის განსაზღვრული მოვალეობების შესრულების კონტროლი, მხარდაჭერის მიმღების უნარების განვითარების შეფასება და შესაბამისი რეაგირება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[17].3. ნაწილის თანახმად, დროებითი მხარდაჭერის დაწესების შესახებ განცხადებას სასამართლო ზეპირი მოსმენით განიხილავს მისი შეტანიდან 5 დღის ვადაში. მხარის გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ დროებითი მხარდაჭერის დაწესების საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას.

დროებითი მხარდაჭერის დაწესების შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 363^{15}-ე, 363^{17}-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1.ელისო კვარაცხელიას შუამდგომლობა სოსო სონგულიას დროებითი მხარდამჭერის დანიშვნის შესახებ, დაკმაყოფილდეს;

2. **სოსო სონგულიას (პირადი ნომერი: 51001012089)** საქმის წარმოების დასრულებამდე, დროებით მხარდამჭერად დაენიშნოს **ელისო კვარაცხელია** (პირადი ნომერი: 51001020088) და მიენიჭოს უფლებამოსილება მხარდაჭერის მიმღები პირის სოსო სონგულიას სახელით და მის ნაცვლად, მხარდაჭერის მიმღების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1293.4. მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, განახორციელოს შემდეგი სამოქალაქო უფლება–მოვალეობანი

2.1. მკურნალობაზე თანხმობის გამოხატვის მიზნით; (მათ შორის სამედიცინო დაწესებულებაში მოთავსება/გაყვანა/გადაყვანა, მედიკამენტების შეძენა, სამედიცინო მომსახურების მიღება), სამედიცინო დაწესებულებებში წარმომადგენლობის განხორციელების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის განსაზღვრისა და გადასინჯვის მიზით, მისთვის ზიანის თავიდან აცილების მიზნით; წვრილმანი გარიგების დადების სფეროში; განახორციელოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში სოსო სონგულიას პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად; იყოს სოსო სონგულიას წარმომადგენელი, როგორც სახელმწიფო (ადმინისტრაციულ ორგანოში) ასევე არასახელმწიფო (არასამთავრობო) დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში; საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის სფეროში; იყოს წარმომადგენელი სოციალური მომსახურების სააგენტოში/ სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში და მიენიჭოს უფლებამოსილება, დამოუკიდებლად სოსო სონგულიას სახელით მისი ინტერესების შესაბამისად, სახელმწიფო გასაცემლის/სოციალური პაკეტის,საარსებო შემწეობის თანხის დანიშვნის/აღდგენის/გაუქმების/ და განკარგვის უფლება. შშმ პირებისათვის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მიღების სფეროში. პერსონალური მონაცემებით სარგებლობის სფეროში; იყოს წარმომადგენელი ნებისმიერ საბანკო დაწესებულებებში, მათ შორის ს.ს ლიბერთი ბანკში და სოსო სონგულიას სახელით, დამოუკიდებლად მიენიჭოს უფლებამოსილება, იმოქმედოს მის სასარგებლოდ და დადოს შესაბამისი გარიგებები. (მათ შორის ყველა საჭირო

დოკუმენტაცია/ხელშკრულებაზე თანხმობა), პლასტიკური/ელექტრონული ბარათის დამზადება/აღება, გაუქმების და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი თანხის მიღება/განკარგვის (მათ შორის საბანკო ანგარიშიდან ყველა საბანკო ოპერაციების განხორციელების, თანხის გამოტანა გადარიცხვის) უფლებით.

3. დროებითი მხარდაჭერის დაწესების შესახებ სასამართლოს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (მის.: ქ.ქუთაისი, ნიუპორტის ქ.N32) განჩინების მხარეებისათვის გადაცემიდან 12 (თორმეტი) დღის ვადაში კერძო საჩივრის შეტანის გზით, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს (მდებარე: ქ. ზუგდიდი, რევაზ ლაღიძის ქ. №12) მეშვეობით.

მოსამართლე ფატი ფურცხვანიძე

24 XI 20